

ფრთხილ

უკვე დაიწყო ოთხშაბათის ბარდა

ფრთხილის ფასი განსაზღვრულია შემდეგნაირად: ერთი ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივი ციკროთი — 5 კაპ., პატარატი — 4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს და საბეჭდო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Вт Тифлисъ. Въ редакцію „Фрѣхѣლ“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ოთხშაბათს, 28 გიორგიობისთვის

ძართული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრი:

I რას ვეძებდი ღარა ვკოკე!

ძომედი სახს მოქმედებად, კნ. ბარბ ზორჯაძისა.

II სოლი თუ გინდა ეს არი!

პოდვილი ერთს მოქმედებად, ვ. აბაშიძისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და ახნაუროვის მაღაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყება 7½ საათზე.

(3—2)

ტელეგრაფები

(ხალხა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

მოსკოვი, 25 ნოემბერს. აი უფრო

ფულტონი

გათიანე ბოლოდის ბრძოლისა ძართულს ენაზად.

ჩვენ გვგონია, თითქო არაფერი მოგვეპოება ძველთაგან დანაშთენი შესანიშნავი მწერლობა; გვგონია, არ გვეყვდნენო მწერლები, რომელთაც რაიმე რიგიანი დაეტოვოსთ ჩვენთვისაო; მაგრამ სოცხის თითოეულ მოსმანედ ჩნდებიან ჩვენთვის ახალ-ახალი ნაწერეები, მართლა და ღირს შესანიშნავნი. მკონებ ჩვენს ძველ მწერლებს ალარაფერი დარჩომიათ, რომ ქართულ ენაზედ არ გადმოეკეთებინოსთ და არ გარდაეცესთ თავიანთ ჩამოძალობისთვის.

მით ამგვარ ძველ ნაწერებს უნდა ეკუთვნოდეს ქართულ ენაზედ დაწერილი „მატიანე ბოლოდისა“.

დაწერილებითი ცნობები იმ სახლის შესახებ, რომლიდამაც 19 ნოემბერს აფეთქეს რკინის გზაზე მიმავალი მატარებელი:

როგორც კი აფეთქება მოხდა, პოლიცია იმწამსვე გარს-შემოერტყა ამ სახლს და იმის მახლობლად მყოფ სხვა სახლებსაც. ალაყაფის კარები თვითონ ამ სახლისა დაკეტილი იყო; ოთახებიდამ კი სინათლე მოჩანდა. როდესაც პოლიციამ დაურაკუნა კარებს, არავინ არ ამოიღო ხმა. პოლიციის აფიცრმა უკანდამ მოუარა, სალდათებით შევიდა კიბეზე და პირველად სამზარეულოში შევიდნენ; აქ ნახეს მხოლოდ ერთი თეთრი კატა. სამზარეულოდამ მეორე ოთახში შევიდა აფიცერი სალდათებითა აქ სტოლზე ენთო სანთელი და ორი ბოთლი იდგა, ერთი ღვინითა და მეორე არყით. მარჯენიე კუთხეში წმ. ნიკოლოზ საწაულ მომქედის ხატის წინ ენთო კანდელი; მარცხნიე იყო ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცისა და მემკვიდრის სურათები. მეორე ოთახში კუთხეში მაცხოვრისა და ლეთის-მშობლის ხატის წინ აგრეთვე კანდელი ენთო; ამ ოთახში იყო რამდენიმე სკამი, ორისათვის საწოლი კრავატი, რომლის გვერდითაც ეკიდა ქალის პალტო, ჩითის იუბკა და სხე.

რომელიც მე დღეს ხელთა მაქვს. ამ მატანეში დაწერილებით აღწერილია ბერძენთა და ბოლოდის შორის დიდი ომი, რომელიც იწყეს ბერძენმა 1195 წელს შრისტეს შობადმდე და რომელიც განგრძელდა ათს წელს, ე. ი. 1185 წ.; ოც-და-სამჯერ სასტიკი ბრძოლის შემდეგ, ბერძენმა აიღეს ქალაქი ბოლოდა, ან ბოლოდადი. (ამ ბრძოლაში, როგორც გვაცნობებს თვით ეს წიგნი, ბერძენების მხრით ომობდა 806,000 კაცი 670,000 კაცის, ტრიანელების, წინააღმდეგ).

წიგნი არის დაწერილი ძველ სქელ ქალალზედ 1847 წელს (შრისტეს აქეთ) „ხელითა უკოდინარის მწერლისათა“, როგორც მოხსენებულია ბოლოში; შეიცავს 252 გვერდს, მთელი თაბახისას და 76 თავს.

როგორც საზოგადოთ ყველა იჩვენს ძველთ ხელთ-ნაწერში, საკვირველია სიმშვენიერე ნაწერისა. როგორი მოთ-

ალაყაფის კარებთან ფიცრულ ღობეში რგვალი ნახვრეტი იყო გამოჭრილი, საიდანაც ალბათ მატარებლის გავლას უცქეროდნენ რკინის გზაზედ; ეტყობა, რომ ლაღმის ასაფეთქად აქ შეუერთებია ვილაცას ორი მავთული და შემდეგ გაქცეულა. მხრილი ამ სახლიდამ რკინის გზის რელსებამდინ ერთ საყენ სიღრმეზედ არის გაყვანილი. ეს თხრილი ერთს არმინზედ კიდევ რომ მიეწიათ იქით რელსებისაკენ, უეჭველია, ყველა ვაგონები დაიღუპებოდა აფეთქებისაგან.

21 ნოემბერს 400 კაცი მუშაობდა ამ ლაღმისაგან გაფუჭებულის გზის გასაკეთებელად.

სოქია, 25 ნოემბერს. ბოლოგარის მთავარმა ალექსანდრემ გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც ნაციონალური ძრება დათხოვნილი იქნება, რადგან ახალი სამინისტროს შედგენა ვერ მოხერხდა.

საქართველო

საზოგადო კრება

თვ. საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთა.

შავილ კვირას 25 ნოემბერს თვ. საადგილ-მამულო ბანკის დამწესებელი

მინება უნდა მქონდეს კაცს, ან როგორი მოცლოლი უნდა იყვეს, ამ სისქე წიგნის გადაწერას გული დაუდოს და გადაწეროს ხელის შეუწყლოვლად! მთელი წიგნი ასეა თავიდან ბოლომდე დაწერილი; ასე გგონია სტამბიდან გამოსულაო.

მაგრამ ამაზედ უფრო შესანიშნავი არის აქ მხატვრობა, რომელსაც ეხედავთ შიგა და შიგ ჩართულს. მხლანდელი ყოველივე სახატავი მაშინების შეუწყენლად, უბრალო ხელით და კალმით მშვენიერ, სოცხალ მხატვრობას ეხედავთ. უნდა ნახოთ მაგ. ის სურათები, რომლებიც აჩვენებენ ბრძოლას სასტიკს, სადაც მხედრები — გამირები ცვივიან ცხენებიდამ და ჰყრია მოკვეთილი თავები მიწვრათ. ან კიდევ: პრიამ მეფის სიკვდილი პირი-ჟვისაგან აპოლონის ტაძარში; მკუჭა დედოფლის (პრიამის ცოლის) ჩაქუაება; ახილქისის მისელა აპოლონის ტაძარში საქორ-



თავად-აზნაუნი მოწვეულნი იყვნენ ამ ბანკის ზედამხედველ კომიტეტისაგან საზოგადო უჩვეულებრივ კრებისათვის თბილისში.

ბანსახილველი საგანი, როგორც ადგილობრივ გაზეთებში ერთის თვით წინათ გამოაცხადეს, იყო:

„ბანკის წესდებაში შეტანა იმ მამულის ურთი-ერთ პასუხის გებისა, რომელნიც შემდეგში გირაოდ იქმნებიან შემოტანილნი ბანკში, და ამის-და-გვარად შეცვლა ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლებსა.“

უფრო გასაკების ენით რომა ვსთქვათ, ამ ცვლილების აზრი ის არის, რომ ყველა ახლანდელი წევრნი-დამწესებელნი ამ ბანკისა, აგრეთვე ყველა თავადი და აზნაური, რომელიც კი ხეცდრ ფულს შემოიტანს ბანკის თანხის გასამრავლებლად, დარჩებიან და იქნებიან ბანკის დამწესებლებად; ამათ ექმნებათ ხმა ბანკის ყველა კრებებზე და საქმეებში. მაგრამ ამათ გარდა ამავე ბანკის საქმეების გარდაწყვეტაში მიეცემათ ხმა აგრეთვე იმ პირთაც, რომელნიც დღეის შემდეგ დააგირავებენ მამულს ბანკში, მიეცემათ ხმა საზოგადო კრებებში და იმ პირობით, რომ ყველა ესენი ვალდებული არიან ბანკის ოპერაციებში თავის დაგირავებულ მამულებით აგონ პასუხი.

თუ ბანკის წესდებაში ამ ახალ ცვლილების შემოღებით ზედამხედველ კომიტეტს და გამგეობას ის განზრახვა ჰქონდათ, რომ გაეფრცვლებინათ ბანკის ოპერაცია, მიეცათ იმისათვის საშუალება,

რომ შესძლებოდა რამდენიც საჭირო იქნებოდა, იმდენი გირაოს ფურცლები (ზაკლადნი ლისტები) გამოეცა და ამნაირად ერთის მხრით დაეკმაყოფილებინა საზოგადო მოთხოვნილება ფულისა და სესხისა და მეორეს მხრით თვითონ ბანკსაც ჰქონოდა სარგებლობა. დაგირავებულ მამულების ურთიერთ პასუხის გებას ეს იმიტომ მოსდევს, რომ თვითონ კანონი ამ გვარ ბანკს (სადაც ურთი ერთ პასუხის გება არის) აძლევს უფლებას რამდენიც საჭირო იქნება ამ ბანკისათვის, იმდენი გირაოს ფურცლები გამოსცეს და ამას გარდა როგორც თვითონ ბანკს, აგრეთვე იმაში დაგირავებულ მამულებს ფასი და კრედიტი ემატება, რადგან ეს მამულები ერთი მეორისათვის აგებს პასუხს. შურადღებაში მისაღებია აგრეთვე ისიც, რომ გირაოს ფურცლები ამ ბანკისა, რომელსაც დაგირავებულ მამულების ურთი-ერთ პასუხის-გება აქვს წესდებაში შემოღებული, ყოველთვის უფრო კარგის, მაღალის კურსით ისყიდება ბირჟაზე, ვინემ იმ ბანკის ფურცლები, რომელთაც ეს ურთი-ერთ პასუხის-გება არა აქვთ შემოღებული.

ამ მუხლის შემოღებას ჩვენი ბანკის წესდებაში ერთი ისეთი ნაკლულეფანებაც აქვს, რომელიც ღირსია ყურადღებისა და დაფიქრებისა. ეს ის, რომ იმ დღიდან დაწყებული, რა დღესაც ბანკის წესდებაში შემოღებული იქნება დაგირავებულ მამულების ურთი-ერთ პასუხის-გება, ყველა ამ მამულების პატრონთ ექმნებათ ხმა საზოგადო კრებებზე ბანკის

საქმეების გარდაწყვეტაში, რადგან საზოგადო კრებებზე უფრო ადვილად შეუძლიანთ მისვლა და დასწრება იმ პირთ, რომელთაც ქალაქის მამულები ექმნებათ ჩვენს ბანკში დაგირავებული, ვინემ სოფელში მცხოვრებ ბანკის დამწესებელთ, რომელნიც იშვიათად დაიარებიან ბანკის საზოგადო კრებებზე, ამის გამო შიში არის, ვაი თუ ერთ მშვენიერ დილას ამ ქალაქის მამულების მეპატრონეებმა ჩაიგდონ ხელში ჩვენი ბანკი და თავის ნებაზე ატრიალონ იმის საქმეები.

პი ამ საგანზედ იყო გაცხარებული ბაასი კრებაზედ. ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ, თუ ეს მუხლი შემოვიღეთ წესდებაში, ამ შემთხვევაში ქალაქის მცხოვრებთ, რომელთაც ჩვენს ბანკში მამული ექმნებათ დაგირავებული, მიეცემათ ბანკის საქმეების გარდაწყვეტაში ხმაო და ბოლოს ისე მოახერხებნორომ მთელ ბანკსაც ხელში ჩაიგდებნოძლიეს ერთი საზოგადო საქმე გაგვიჩნდა ქართველებსაო და იმასაც ხელიდამ უშვებთო და სხვ.

ამ შიშის წინააღმდეგ მოყვანილი იყო შემდეგი საბუთები: მართალია, შესაძლებელიაო, რომ ეს მოხდესო, მაგრამ ამ ჟამად ბანკი ჩვენს ხელში არისო და ამ გარემოების თვითდამ აცდენა ჩვენზედ, ახლანდელ დამწესებლებზედ, არის დამოკიდებულიო: როდესაც შევატყობთ, რომ ქალაქის მამულების დამგირავებებმა შეიძლება მომეტებული ხმა შეიძინონ საზოგადო კრებაში, ჩვენ შევიძლიან იმ წამსვე შევაჩეროთ ბანკი

წინოდ მშვენიერ პოლიქსენაზედ (პრიამის ასულზედ); პოლიქსენას დაკვლა მამის საფლავზედ; პარიზისაგან ახილვისის სიკვდილი ისრის ტყორცნით პალონის ტაძარში და სხ...

თუ საჭირო იქნებოდა, მე შემეძლო აქედამ გარდამეცა, რასაკვირველია მოკლეთ, მთელი ამ მატინეს შინაარსი ზოგიერთ მკითხველთათვის, რომელთაც არ უსწავლიათ ამისი მოთხრობა, მაგრამ ჯერ-ხანობით მხოლოდ მოვიყვანოთ ნიმუშათ ერთი ადგილი ამ წიგნებიდამ, საიდანაც მკითხველები გაიგებენ აზრს და სიმღიდრეს ჩვენის ენისას.

ერთი წარჩინებული გმირი—მეომარი ამ მოთხრობაში არის ლექტორი,—ძე ტროადის მეფის პრიამისა, რომელიც საკვირველის და საოცარის ძალით და მხნეობით სჩენს და ჰკაფვს ბერძნების საუკეთესო მეომრებს. ამან ამ ბრძოლაში მოჰკლა ცხრამეტი სხვა და სხვა ძლიერი მეფეები პირის-პირ ბრძოლაში. ცდილობენ,

მაგრამ ვერავის ვერაგზით ვერ მოუკლავს ისა. მერვე ბრძოლის დაწყების წინეთ ლექტორის ცოლმა „ანტრომეტამ ნახა ქმრისათვისისა ძილსა შინა სიზმარი დიდათ საშინელი და მისგან მცნობელ იქმნა ჰუმბარიტათ რომელ უკეთუშცა ლექტორ დღესა მას განვაღს ბრძოლად სიკვდილისაგან ვერა განერების, გარნა მუნ უეჭველად მოკლულ იქნების და იწყო მისთვის იღუმალ ტირილი და იკადნიერა მასვე ღამესა ხილვაი იგი და გულს-მოდგინეთ ევედრებოდა მას, რათამცა დღესა მას არა განვიდეს ბრძოლად, გარნა სამეფოსა სახლსა შიგან თვისსა იყოს. ლექტორ სიტყვათაზედან ცოლისა თვისისათა განრისხდა ფრიად შერისხნა და სასტიკითა სიტყვითა მსწავრულ-ექმნა: არა იცია, დედა-კაცო, რომელ ფრიად სარცხვინო არს მაღალ-შობილთა და უშეტეს ესკვათ ბრძენთა ყოვლითურთ უმართებულო რწმუნება ღამის სიზმართა და ამოუსა ამის ფიქ-

რითა სულმოკლებისა შიშსა შიგან ჩა ვარდნა.

„ანდრომეტამ იხილა რა იგი, რომელ რჩევასა მისსა არა მორჩილებდა დადუმდა, გარნა ოდეს გათენდა მალიად წარვიდა მეფესა პრიამისად და მკკუბა დედოფლისად გამოუტყნა მათ სიზმარი თვისი და ევედრა გულს-მოდგინედ რათამცა ლექტორ დღესა მასსა არა უტეონ განსულად. პრიამ მეფემან ამცნო ლექტორს არა განვიდეს იგი დღესა მასშინა ბრძოლად. ამისათვის ლექტორ ცოლსა ზედან თვისსა ფრიად განრისხდა დამრავალი სიტყვანი რისხვისანი რქვა რა სცნა, რომელ სწავებისა მისისაგან იქმნა ესე რათამცა ბრძოლად არა განვიდეს.

„გარნა დაუტყნა მცნებანი მამისანი და მოითხოვა საჭურველნი მსახურთაგან აბჯრითა დაიჭურვებოდა და საომრად წასვლასა ფიქრობდა ფრიად სასწრაფოდ იხილა. იხილა რა ესე ანდრომეტამ მცირისა ძითა თვისითა დავარდა



დამ ფულის გასესხება ქალაქის მამულებზე და ამნაირად ქალაქელებს ყოველთვის უფრო ნაკლები ხმა ექნებათ საზოგადო კრებაზედ, ვინემ ქართველ თავდაზნაურობას, ამას გარდა ბანკის წესდების მე-83 მუხლი პირ-და-პირ ამბობს.

საზოგადო კრება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად და შემდგარად, როდესაც იმის სხდომაზე დაესწრება 50 წევრი—დამფუძნებელი ბანკისა და არა ნაკლები“.

მართალია, ამ მუხლისვე ძალით, თუ პირველად დანიშნულს დღეს საზოგადო კრება არ შეაღება, ამ შემთხვევაში მეორე ვადა დანიშნება საზოგადო კრებისათვის, არა-ნაკლებ ორის კვირისა, და ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა დაესწროს წევრი-დამფუძნებელი ბანკისა; მაგრამ, თუ არასოდეს არ ივლიან ჩვენები, თუ ისინი ამ „ერთს ქართველების საქმეს“ ასე გულაყარდნით მოეკიდებიან, თუ იმისთვის თვითონ არ იზრუნავენ, მაშინ წყალწაღებული ვყოფილვართო და ვერც ბანკი გვიშველის და ვერც სხვა რამეო.

ამას გარდა ზოგი სხვა საბუთებიც იყო მოყვანილი ამ ცვლილების სასარგებლოდ და შემოხსენებულ შიშის წინააღმდეგ.

ბოლოს საზოგადო კრებამ, რომელზედაც 63 წევრი დაესწრო, ხმის უმეტესობით მიიღო და დამტკიცა ბანკის ზამგეობისაგან შემოტანილი წინადადება.

კრებამ მიიღო აგრეთვე ის წინადადებაც, რომლის ძალითაც თუ. საადგილ-

მამულო ბანკს მიეცემა უფლება, რომ თავის მოქმედება მთელს ქავეკასიის სანამესტინოკოზე გაავრცელოს, ე. ი. დივირაფოს ქავეკასიის ყველა გუბერნიების მამულები:

ეს საზოგადო კრებისაგან მოხდენილი ცვლილებანი ბანკის ზედამხედველ ქომიტეტმა შანანსის მინისტრს უნდა წარუდგინოს ახლა დასამტკიცებლად; ამბობენ, ამ დამტკიცებას არაერთი დაბრკოლება არ აღუდგება წინაო.

„დროშის“ კორრესპონდენცია (დასასრული)

სიღნაღი, 16 ნოემბერს. ქალაქის ბანკის იმედი კიდევ ხომ არ უნდა გვექონდეს: ჯერ ბანკი არ არის დაწესებული, ფულები არ შეუკრფენიათ; ან ბანკი როდის უნდა გაიხსნას; თუნდაც რომ გაიხსნას, სამართხ წლამდისინ, თუ მეტი არა, შემოსავალს და მოგებას ვერ აჩვენებს. ასე რომ ამ მხრიდამაც იმედი არ უნდა გვექონდეს, რომ ეგ 400 თუმანი პროგიმნაზიისა იქიდგან შესრულდეს.

თუ მართო ამ წყაროებს გამოუდგებიან, ნუ დაივიწყებენ სიღნაღელები, რომ საქმე გაგრძელდება და მანამდისინაც სხვები დაასწრობენ და ჩვენ ცარიელები დავრჩებით. ჩვენის აზრით, ქალაქი ძრიელ მოიგებს, თუ ამ ორიოდვე წელიწადს მახტის (ხარჯის) ფულს მოუმატებს, სანამდისინ ნამდვილი წყარო გამოუჩნდება და ამგვართ დააფუძნონ

პროგიმნაზია. თორემ ამ პროგიმნაზიის მუშტარი ბლომათა ჰყავთ. პირველი მაგ. თელავი. ჩვენში ტყუილია ის აზრი, ვითომც თელავი თავის დღეში ვერ მოახერხებს პროგიმნაზიის გახსნას; პირველი იმიტომ; რომ თელაველებს სახლი არა აქვსთო; თელაველებსაც იმოდელა სახლი აქვთ, როგორც სიღნაღს; სადაც ეხლა უეზდის უფროსი ცხოვრობს, ის გადაკეთდება ადვილად საპროგიმნაზიათ; როგორც ეხლა არის, სიღნაღის სახლიც არ ყოფილა პროგიმნაზიის, უნდა აქეთიქიდგან მოუმატონ, ვგრეთვე თელაველებიც იზამენ. ამას გარდა უფრო მომეტებული ნაწილი საზოგადოებისა და მთავრობის თანაგრძნობა თელავისკენ არის: თელავშია მოქუჩებული მთელი ქახეთის ამ დროების ინტელიგენცია, თელავს ეკუთნის ქახეთის გამოჩენილი და თანამგრძნობე თავადები, თელავშია რამოდენიმე სასწავლებელი და საზოგადოთ იქ უფრო მომეტებული პროცენტია განათლებული და ნასწავლი ხალხისა.

მაშასადამე რაც შეგვიძლიან, უნდა დავეშურნეთ, მით უფრო რომ თელაველი თავდაზნაურობა დაჩვეულია ვალების აღებას, „ავიღე და აღარას“,—თუ სადმე ვალის აღებაა, თავდაზნაურისთანა ვერავინ მოახერხებს და იმაზე უკეთეს მოვალესაც ვერსად ვერ იშოვნის კრედიტორი; თუ სესხზე მივარდება და სესხით პროგიმნაზიის გახსნა მოხდება, თელაველ თავდაზნაურებს ვერვინ დაასწრობს. იმათვე მიეკედლებიან სიღ-

წინაზე ფერხთა ლექტორისათა და მრავალის ცრემლითა ევედრებოდა მას ესარეთ: უკეთუ მე დამიტყვებ არა შეწყნარებად უფალო ჩემო შეიწყალე ყრმა ჩივილი ესე შობილი შენ მიერ...

„და ვგრეთვე დედა მისი და დანი თვისნი დაკვიდნენ წინაზე ფერხთა ლექტორისათა და ევედრებოდნენ მას ცრემლით რათა განიხადოს აბჯარსა-ქურველნი. არცა ვედრებათა ზედან მათს მიღრკა, არცაღა ცრემლი მათი მიიღო და არცაღა ენება მოსმენა მათი, ფრიადის სისწრაფითა ჯდებოდა ცხენსა ზედან თვისსა და საომრად წასვლას ფიქრობდა.

„იხილა რა ანდრომეტამ დიდის შეჭირვებისაგან თვისისა გარდაიხინა სა-მოსკლნი თვისნი და გარდაიშალა თმანი თავისა თვისისანი და მეფისა პრიამისა მიმართ წარვიდა დიდისა კვილითა და ფერხთა მისთა განერთხა, გულს მოდგინედ ევედრებოდა მას, რათა გამოა-

ბრუნოს ლექტორ ვიდრემდის ბრძოლას შეერთოს...

„ლექტორ შევიდა დასში და შეუტრია რომელსამე ბერძნისა მეფესა, შეიპყრა იგი და ფაჩი თვისი მხარს უკან გარდაიდლო და ყოველი გონება თვისი ამაზედან გააქცია, რომელ მეფე ესე ახილეს ადილო შუბი ფრიად მაგარი, ჰკრა მას მკერდას შიგან და გარდაიდლო კედარი მიწასაზედა. ტროანელნი სიკვდილითა ლექტორისათა ესოდენ შემფოთენ, დაუტყვეს მინდორი, აღილეს მკვდარი და ტირილითა დილითათვე გარდახდილი შევიდნენ ქალაქსა ოდეს მამამან პრიამ იხილა ლექტორ მკვდარი გვამსაზედა მისსა მრავალ გზის დააკედებოდა, ძმანიცა მისნი, ცოლი და დანი დიდათ იტანჯებოდნენ და სიკვდილი უფრისდა სურდათ მასთან ერთბაშად, ვიდრე სიცოცხლე შემდგე იმისა.

„რალა ვსთქვათ მკვუბა დედოფლისა-

თვის და რალა ანდრომეტა ცოლისათვის და რალა დათათვის მისთა თუ რასა იქმოდნენ რომელთა აგებულებაი მშუხარების შეიწროებისათვის დიდათ უძლურ არიან, აღწერადცა იგი ძნელ არს. მოქსოვეს ტალავერი დიდი ოქროსი და ვერცხლისა და ტახტი ოქროსი და მუნ გვაში ლექტორისა მოკაზმული ყოელი თურთ ბრძანა მეფემ დაჯდომად. და ზეთნი კეთილ სუნნელოვანი წაუსონ მას რათამცა გვაში ლექტორისა ხრწინლებისაგან უვნებლად ეგოს და იჯდა გვაში აგი პირით კერძო ბერძენთ მხედრობისაკენ ხმალ ხელ მიწვილილი, რათამცა ბერძენთ შემომპყრეტელთა მისდა აწვიოს რისხვა...“

„აი ამგვარის ადვილად გასაგებისწინით არის დაწერილი ეს წიგნი. ჩვენ მწიგნობრებს ზარალი არ მოუვათ, თუ რომ ამ წიგნს შეძლებდეს და გვარად სურათებით დააბეჭდონებენ რამოდენიმე წიგნად.

თ. ძან.

20 ნოემბერს. ს. მეჯვრის-ხევი.



ნალის უფლის თეოდ-აზნაურობაც: ყველას თავისი ტოლი და პარტია მოსწონს მხლა სიღნაღის თეოდ-აზნაურობა არაგვარ მონაწილეობას არ მიიღებს ჩვენ პროგიმნაზიის დაარსებაში, ისინი გვეუბნებიან:—ჩემი შვილი თუნდ ქალაქში ჩამიყვანია, თუნდა სიღნაღში, ყველგან უნდა საზრდო, სასმელი და საჭმელი ჩემი ჯიბიდან ვაძლიოვო. თქვენი შვილები თქვენ თვალწინ სწავლობენ, თქვენ ხელ ქვეით, თქვენ სახლებში და პროგიმნაზიაც თქვენიია.

ნურც იმისი იმედი გვექნება, რომ ვითომც სიღნაღი შუაგული ალაგი იყოს და იმას დახარბდნენ და მოგვეცენ პროგიმნაზია. დაჯერებული უნდა ვიყვნეთ, რომ შარელი ლეკი თუ სიღნაღამდი ამოვა, თელავსაც არ დაიხარებს. მანა თელავი ნაკლები შუაგული ალაგია: მთავრობა უფრო იმასა ცდილობს, როგორმე ადრე და ადვილათ გაავრცელოს სწავლა და განათლება მთის ხალხში და აბა შეხედეთ, თელავია შუაგული თუ არა ძიზიყსა, უკანაძხარსა, დიღოსი, შრწოსა, ხევსურეთისა, შშავეთისა და თუშეთისა.

ამისათვის იმედი ნუ გვექნება, რომ ჩვენ ვითომც შეგვეჩვენონ: არა, უთუოთ განსენით პროგიმნაზიაო! ჩვენ უნდა ვეცადოთ კარზე მომდგარი იღბალი 400 თუმნის გულისათვის უკან არ დავბრუნოთ. ამ უკან დაბრუნებისა მის-

თვის უფრო შიშია, რომ მომეტებული ნაწილი სასწავლებელთ უწყების მცოდნე პირთა წინააღმდეგნი არიან ჩვენში პროგიმნაზიის განსენისა: პირველი მისთვის, რომ თუმცა კარგი ჰაერიაო, კარგი ჰაეო, ტენი არ გაგვიყინდებო, მაგრამ ბერძნული და ლათინურის ენების შესწავლა თქვენი შეილებსთვის ძნელი იქნებაო, მომეტებული ნაწილი კურსვერ შეასრულებსო, შუა გზიდან გამოაყრიან, და თუნდაც დაასრულონ, მარტო მდიდრები გაგზავნიან მაღალ სასწავლებელში თავის შვილებსაო, ლარიბისა კი აქავ დარჩებიანო და ოთხი და სამი მდიდარი კაცისათვის 400-500 თუმნის შეწირვა ყოველ წლივ უქმი ხარჯიაო. ბარდა ამისა გვამტყუნებენ, ვითომც ჩვენ პროგიმნაზია მისთვის გინდა, რომ ვაჭრობა გავრცელდესო და ამ მიზნისათვის არავენ არ დაგვიწყებებს კლასიკურ სასწავლებელს. ამისათვის, თუ მართლა ჩვენთვის იმისთანა სასწავლებელია საჭირო, რომელმაც უნდა ჩვენი მოსწავლეებს გაუხსნას გზა ყოველგვარ სასწავლებელში შესვლისა, უკან აღარ უნდა დავიწიოთ და როგორც იყვენ ვგუსაჭიროესი 400 თუმანი ვიშოვოთ საიღმე.

**

ქალაქის გაგზობისაგან

- თფილისის ქალაქის გაგზობა ამით აცხადებს, რომ იმის თანდასწრებით იქნება პირველი და უკანასკნელი ვაჭრობა (უპირეტორეკოთ) შემდეგსაგნებზედ:
- 1). 24 ნოემბერს 1879 წელსა იქნება ვაჭრობა ავლაბარში მდებარე საქალაქო მიწისა, სივრცით 1890 დესიატინის, და მეორე მიწის, სივრცით 237 დესიატინის, არენდით გაცემაზედ მომავალს 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდე.
 - 2). 7 დეკემბერს ამა 1879 წელს იქნება ვაჭრობა იჯარით გაცემაზედ იმ შემოსავლის მოკრებისა, რომელიც ქალაქსა აქვს მტკვრით მოტანილი იმ ტივებისაგან, რომელნიც ქალაქის კუთვნილ ნაპირებზედ ჩერდებიან. შადა ამ იჯარისა ითვლება მომავალი 1880 წლის 26 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.
 - 3). 7 დეკემბერს ამა 1879 წელსა იქნება ვაჭრობა იჯარით მიცემაზედ იმ ნაგისა, რომელიც ქალაქის ნავსადგურთან არის ეგრავზე. შადა ამ იჯარისა ითვლება ამ 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.
 - 4). 4 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა იმ ხარჯის იჯარით გაცემაზედ, რომელსაც ქალაქიში მომუშავე ფაქტორები, დროუკები, პოვოზკები და სხვ. (იზვოზნი პრომისელ) იხდიან ქალაქის ხაზინის სასარგებლოდ. შადა ითვლება ამ 1880 წლის 1 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.
 - 5). 1 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ცხენის ხარჯის იჯარით გაცემაზედ. შადა 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.
 - 6). 5 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ქალაქის სასწორისა და საწყაობისა და საწყაობის შემოსავლის იჯარით გაცემაზედ. შადა ითვლება 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.
- შველა ამ იჯარებისა და არენდების პირობებს (კანდეციების) ნახვა და გაცნობა მსურველთა შეუძლიანთ ქალაქის გამგეობის (შრავის) კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღეებს გარდა, დიღის 10 საათიდან ვიდრე ნაშუაღღევრს 2 საათამდინ.

(13-6)

კვირას, 9 დეკემბერს

თფილისის ქალაქის გამგეობის

„თფილისის გუბერნიის თეოდ-აზნაურთა საზოგადოების“ შკოლის სასარგებლოდ გამართული იქნება:

ბ ა ლ ი

ბილეთის ფასი, ქალისა თუ კაცისათვის, 2 მანეთია

დასაწყისი საღამოს 9 საათზე

ქალებს შეუძლიანთ გულ-დახურული კაბებით მოვიდნენ. შისაც ჰსურს წინაღვე იყიღოს ბილეთი, შეუძლიან მიმართოს შემდეგ პირთ: „საზოგადოების“ თავმჯდომარეს, პ. მ. მამაცოვს, ძუკიაში, საკუთარ სახლებში; თ. დ. ი. ავალოვს, თეოდ-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში; ხაზინადარს მ. დ. თულაშვილს, ოლქის სასამართლოში და სეკრეტარს ნ. დ. მანანოვს „ივერიის“ რედაქციაში.

(5-1)

სენაკის უფლში დ. სუჯუნას

დაიკარგა

ლაფთა წითალი ცხენი, ტანად საშუალო, ძუ-ფაფარი მოშაეო, ძლიერ თონარკი (იორდა), დალი აქვს მარცხენა უკანა ბარკალზედ, შინ ც. ამ ცხენს აღმოაჩენს ასს მანეთის ფულს მიიღებს საჩუქრად; და რომელ საზოგადოებაშიაც აღმოჩნდება იქაურ შკოლას პატრონი ასს მანეთს სწირავს; დაიკარგა ოც-და-სამ სექტემბერში.

ცხენი ეკუთვნის ზემოხსენებულ უფლისა და სოფლის მცხოვრებს თომხარ მაჰრანალს.

(6-1)

შპორჩილესად ესთხოვ ყველა იმ პირებს, რომლებსაც ეს უფ. მ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიიდან ნისიათ, ანუ კომისიით უფლის ქალაქებში ანუ სხვაგან წიგნები აქვსთ წალბებული გასასყიდათ, დღეის შემდეგ იმ წიგნების ფული მე გამომიგზავნონ, რადგანაც უფ. ჩარკვიანთან თანამდებობა დავსტოვე და ყველა ის წიგნები, რაც კი ჩემს დროს გავიღა, მე გარდმოვიღე ჩემზე და სამაგიერო უქვე გადაუხადე.

აღრესი ჩემი: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дროზა“

(5-4)

ზაქარია შიკინაძე